საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 3254/1
19/02/2024

3254-1-2-202402191537

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ბექა ვაჭარაძეს

ბატონო ბექა,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (შემდგომში -კომპანია) განიხილა თქვენი 2024 წლის 2 თებერვლის №42-4224033148 წერილი (კომპანიაში დარეგისტრ №1/3342) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გრიგოლ კოკაიას ხეივანში, საკადასტრო კოდი 04.01.03.949 მიწის ნაკვეთზე მდებარე 931 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის *(საკადასტრო კოდი: 03.01.24.368) იჯარის სახით (მასზე მსუბუქი ავტომანქანების პარკირების მოწყობის მიზნით) დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ნაკვეთზე განთავსებული კომპანიის კუთვნილი კომუნიკაციების გათვალისწინებით, კომპანიის ტექნიკური პირობის გაცემის შესახებ*

კომპანია არ არის წინააღმდეგი, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გრიგოლ კოკაიას ხეივანში, ს. კ. 04.01.03.949 არასასოფლო-სამეურნეო 931 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, დროებით სარგებლობის უფლებით, განთავსდეს *მსუბუქი ავტომანქანების პარკინგი* მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული მხარე/მოიჯარე კომპანიაში წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულ წერილობით თანხმობას იმის შესახებ, რომ ს. კ. 04.01.03.949 ნაკვეთის დროებით მოსარგებლე არ იქნება წინააღმდეგი არსებული დ=500 მმ წყალდენის ექსპლუატაციის ვადით ნაკვეთზე უსასყიდლოდ დარჩენაზე, სადაც ასევე დამატებით ასახული იქნება ჩამოთვლილი შეზღუდვების-პირობების შესრულება და დაცვა:

1. მიწის ნაკვეთზე *(ს.კ 04.01.03.949)* წყალმომარაგების დ=500 მმ მილსადენის გამართული/შეუფერხებელი ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში *(მილსადენის კედლიდან თვითეულ მხარეს 5 მეტრი დაშორება)* მესაკუთრე/მფლობელი ან/და მოიჯარე არ მოახდენს რაიმე სახის მშენებლობას ან მოქმედებას, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას წყალმომარაგების მილსადენის გამართულ ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებას.
2. ქსელის/მილსადენის დაზიანების შემთხვევაში კომპანიის მიერ ქსელის/მილის სარგებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო საავარიო - აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას, ნაკვეთის მფლობელმა ან/და მოიჯარემ ხელი არ შეუშალოს მოსარგებლეს ქსელის/მილის დაზიანების აღმოსაფხვრელად, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში წყალმომარაგების ქსელის/მილის შესაცვლელად. ქსელის/მილსადენის დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ხელი არ შეუშალოს ავარიის ადგილზე საავარიო ბრიგადების, მანქანა-მექანიზმების შეუფერხებელ-ოპერატიულ შესვლას

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

და ხელი შეუწყოს საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად შესაბამისი პირობების შექმნას;

3. მილსადენის სარგებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო საავარიო - აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც ექცევა წყალმომარაგების ქსელების/მილების (დ=700 მმ, დ=500 მმ.) ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში, კომპანიის მიერ არსებული ინფრასტრუქტურის (ღობე, ეზოს მოპირკეთების ფილები, დეკორატიული შადრევანი, ქანდაკება, აუზი, გამწვანება და სხვ.) დაზიანების ან/და დემონტაჟის აუცილობლების შემთხვევაში მათ აღდგენაზე ვალდებულება ან ფინანსური პასუხისმგებლობა კომპანიას არ დაეკისრება.
4. მიწის ნაკვეთის *(ს.კ 04.01.03.949)* მიმდებარედ, ქუჩაში განთავსებული დ=700 მმ წყალდენის კედლიდან ნაკვეთის მხარეს 5 მეტრში ასევე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დაინტერესებული მხარის მიერ, მიწის ნაკვეთზე *(საკადასტრო კოდი: 04.01.03.949)* კომპანიის წყალმომარაგების დ=500 მმ მილის ექსპლუატაციის ვადით უსასყიდლოდ განთავსებასთან და წინამდებარე შეზღუდვების, პირობების სრულად დაცვასთან/შესრულებასთან დაკავშირებით, ნოტარიულად დადასტურებული წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში კომპანია არ იქნება წინააღმდეგი მოიჯარემ განახორციელოს ნაკვეთზე მსუბუქი ავტომანქანების სდგომის/პარკინგის მოწყობა.

დანართი: ნაკვეთის და წყალდენების ნახაზი.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

N
1:1,200
ფოთი
900
180
180
560
300
250
630
700
500
32
500
250
400
500
500
630
04.01.03.895
04.01.03.949
ჭაბურღილი
სახანძრო პირანტი
დასახლებული პუნქტი
წყლის მილი
რეზერვუარი
საუმბო სადგური
წყლის ჭა
წყალარინების მილი
წყალარინების ჭა
გზა
მდინარე
შენობა